




# № 18 სელიგერატურო კურხალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифლისь, Типография Т-ва „Шрома“. Василию Карамановичу Болквадзе.



დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი.

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი.

ბევრი ახირებული ჩვეულება გააქვს, ჩვენ, ქართველებს. ამ ახირებული ჩვეულებით ფრიად გავსხვავდებით სხვა ერებისაგან. ვაკლია ენერჯია, არ ვიცით არაფრის დაზოგვა, მეტათ გულ-უხვი და სტუმართ მოყვარე ხალხი ვართ. თუ ქართველს რამე აბადია და სული უდგას, აღარ ციცის რა ქნას, სცილობს რაც შეიძლება ჩქარა გაათავოს, შესქამოს, თუ ადგილ-მამული აქვს ბანკში აგირავენს, უფრო კარგათ რომ ვსთქვათ ბანკზე ჰკიდის, რადუნად დაგირავებულ მამული ბანკს რჩება, თუ ფული აქვს ან ბანკში უნდა წაავოს, ან „კახურში“ და ან კიდევ ხმალ-ხანჯალში. ქართველმა თუ რამე საქმე დაიწყო ბოლოს თავის დღეში ვერ გაატანს, მოსწყინდება ლოდინი და საქმესაც ბოლო ედება, მას უნდა ყველაფერი ერთბაშად გააკეთოს. ასეთ მდგომარეობაშია აგრეთვე ყოფილი ჩვენი, ქართველური, საზოგადო საქმე. გულ უხეობა და სტუმართ მოყვარეობა აბა რა სათქმელია, აქ ვერაინ ვერ ჩამოგვივარდება დაზოგვა ჩვენთვის არ არსებობს.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, ქართველი იყო, მაგრამ თავისუფალი იყო ყველა ამ ქართველურ თვისებებისაგან. ის განსაკუთრებული ქართველი იყო. მას ქონდა საკმაო ენერჯია, იცოდა დაზოგვა, და ყველაფრის გონივრულათ მოხმარება. ის ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, ფიქრობდა სხვებზე, ყველაზე და თავის გონივრულ მოქმედებით არა ერთისა და ორისთვის გაუწყვიდა დახმარება. ეს ყველა ქართველმა კარგათ იცის. ამიტომ მისი დაკარგვა ყველა ქართველებითვის მეტათ საგრძნობელია.

ამ არაჩვეულებრივ ადამიანის დასახსიათებლათ მოგვყავს აქ მოკლეთ მისი ბიოგრაფია.

განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილი დაიბადა ქ. ტფილისის 1848 წელს, 24 ოქტომბერს. ჩამომავლობით იგი იყო თფილისის საბატო მოქალაქე, სიყმაწვილ საყვარელ ოჯახში გაატარა. სწავლა დაიწყო თფილისის I გიმნაზიაში. გიმნაზია 1866 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტი შევიდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. იქ მხოლოდ ერთს წელიწადს დაჰყო და გერმანიაში გაემგზავრა. მიუნხენის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც 1871 წელს სწავლა დაამთავრა და ქიმიის დოქტორის წოდება მიიღო.

ამის შემდეგ 1878 წლამდე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას სწავლობდა ჰოვენერისა და ვალ-

ლეს. 1878 - 1879 წლებში კი საფრანგეთში სწავლობდა მევენახობის ყველა დარგს. როგორც სხანს განსვენებული სასოფლო სამეურნეო მოღვაწეობისათვის ემზადებოდა და საფუძვლიანადაც შეისწავლა, მაგრამ ისე დატრიალდა საქმე, რომ სულ მოულოდნელად არყის საქმეში ჩაება და კავკასიის მახლობლად არყის სახდელი ქარხანა შეიძინა. ეს ქარხანა მეტად პირველ-ყოფილ მდგომარეობაში იყო, რაც ვერ აკმაყოფილებდა განსვენებულს; ამიტომ ხელ-ახლა გადააკეთა გაუმჯობესებულ ტენიკის მიხედვით, ხოლო საქმისა და ბაზრის გასაფართოვებლათ ტფილისშიაც გახსნა დიდი საწყობი. აქვე შემოიღო მან კავკასიაში ჯერ უცნობი რამე-ტეფიკაციის აბარატი. 1887 წ. ტფილისშივე გახსნა ლიკიორის ქარხანა, რისთვისაც მცოდნე ოსტატები საფრანგეთიდან დაიბარა. დავით ზაქარიას ძის ასეთ ცოცხალ მუშაობას სააქტიუო უწყებების გამგე აქცევს ყურადღებას და დეპარტამენტში წარმოადგენილ ყოველ-წლიურ ანგარიშში იხსენიებს ამ ახალ ფირმის საქმიანობას.

მაგრამ დ. ზ. მიანც ვერ ისვენებს, არყის და ლიკიორის წარმოება ვერ აკმაყოფილებს; მისი დიდი ხნის სურვილი იყო კონიაკის წარმოება, რომელიც რუსეთში ჯერ არ არსებობდა. ამ საქმეს გაცილებით დიდი თანხა სჭირდებოდა და მეტად საძილო საქმეც იყო, მაგრამ განსვენებულს მიღებულ ცოდნის გამოყენება არ ასვენებდა. ამ საქმისთვის ხარჯის გარდა, სასმელების მთელი რაიონის ცოდნა იყო საჭირო და სხ. მან კარგად იცოდა, რომ ამ ნაბიჯით მთელ თავის ქონებას განსაცდელში აგდებდა, მაგრამ დიდი ხნის სურვილს ვერ ეურჩებოდა. ამისთვის 1888 წ. პირველად ტფილისში დასდგა კონიაკის აბარატი, რომლის შემწეობითაც სხვადა სხვა კუთხის ღვინისაგან კონიაკის ხდა დაიწყო. გამოცდილებამ დაანახვა, რომ კონიაკის დასამზადებლათ საჭიროა ყველა კუთხის ნაყოფი, მათი სარდაფებში დაყვება-შენახვა და მერე ისეთის სასმელისა, რომელსაც საფრანგეთში „კონიაკს“ უწოდებდნენ. ამ საქმისათვის ადგილობრივ შესაფერ შესწავლა აგება იყო საჭირო. დ. ზ. სარაჯიშვილიც ნელ-ნელა შეუდგა მათს აშენებას: 1889 წ. ააშენა ყოხლიარში, 1894 წ. ერევანში, 1895 ბესარაბიაში კიშინიოვის მახლობლად დაბა კალოასში, 1901 წ. ბაქ. გუბ. გეოქიაში; ამისდა მიხედვით ტფილისის მთავარ საწყობსაც აფართოვებდა. საქმე წინ მიდიოდა. 1890 წ. სააქტიუო გადასახდელთა გამგეს ანგარიშში ნათქვამია: „ბ-ნი სარაჯიშვილი, როგორც გამრჯე და ენერგიულმა ადამიანმა, ბევრი იშრომა კავკასიაში სამშობლო ქვეყნის მრე-

წელობის ასაღორძინებლათ: მაგ. 1885 წ. მან კავკასიაში იყიდა არყის ქარხანა, რომელიც წელიწადში 3—4 მილიონ გრადუს სპირტს ამზადებდა, ეს რიცხვი 2-მა სარაჯოვმა 8 მილიონ გრადუსამდე აიყვანა. 1885 წელს მან ტფილისში გახსნა კავკასიაში პირველი რეკტიფიკაციის ქარხანა, 1887 წ. დააარსა კავკასიაში პირველი არყის ქარხანა. ამ ქარხანაში დამზადებული სასმელი იმდენად კარგია, რომ სულ მცირე ხანში გაიწია არა თუ კავკასიაში, შიდა რუსეთშიაც და თვით პეტერბურგშიაც კი. 1888 წ. დ. ზ. სარაჯევმა ტფილისში გახსნა პირველი კონიაკის ქარხანა რუსეთში, რითაც მავალითი მისცა სხვებსაც კავკასიაში ასეთ ქარხნების გახსნისა. სარაჯოვის კონიაკი თავისის ღირსებით თამამად უწევს შეტოქეობას სხვა კონიაკებს მთელი რუსეთის ბაზარზე.

ათის წლის მერე 1901 წელს, სააქციზო. ხარჯთაყრების გამგე, გაუწერელ გარდასახადთა მთავარ-სამმართველოს უფროსს შემდეგი მოხსენება წარუდგინა. (1 ივნ. 1901 წ. № 7293): „მიმდინარე წლის აგვისტოში ტფილისში იხსნება კავკასიური გამოფენა სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობისა, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავის აღსანიშნავად. ამ გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილს დაიკავს არყისა და სხვა მავარ სასმელების განყოფილებაც. ამისთვის შესაფერად მიმანია თქვენს მაღალ კეთილშობილებას მოგახსენო, რუსეთში ცნობილ და ადგილობრივ მეტად გავრცელებულ დ. ზ. სარაჯიშვილის მრეწველობა შეიძლება თქვენმა მაღალ-კეთილშობილობამ საიუბილეო გამოფენის გამო (აქ აღნუსხულია დ. ზ. ქარხნის თანდათან განვითარება) იგი ყურადღების ღირსი ვაჰხადოს, რადგანაც ამ ძვირფასს დარგში, როგორცაა ეხლა კონიაკის წარმოება, დიდი ღვაწლი მიუძღვის და დიდი სახელიცა აქვს დამსახურებული სარაჯიშვილის ფირმას, რომელიც 17 წელს რაც არსებობს. სამართლიანობა მოითხოვდა იგი წავახალისებინათ და კომერციის სოვეტიკობა გეგოძებინათ. ეს ჯილდო უფრო შეეფერებოდა იმ საპატიო მდგომარეობას, რომელიც უჭირავს 2-ნ სარაჯიშვილს ტფილისის სავაჭრო და საზოგადო საქმეში“.

1902 წ. 1 იანვარს დ. ზ. სარაჯიშვილს „სამშობლო ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში სასარგებლო მოღვაწეობისთვის“ უმაღლესად ებოძა ხარისხი „კომერციის სოვეტიკისა“.

ასეთი იყო დავით ზაქარიასძე. მან შეიძინა ქონება, შეეძლო ეს თავისი ქონება მხოლოდ თავის კუქისთვის მოეხმარა, მაგრამ ის ასე არ იქცეოდა.

ის არასდროს არ ივიწყებდა არც ერთ საზოგადო დაწესებულებას და არც კერძო პირთ, არც დაივიწყა მან სიკვდილის შემდეგაც და თავის ქონება უანდერძა სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებებს. კერძო ცხოვრებაში დავით ზაქარიას ძე დაუფასებელი ხასიათის იყო, მისი გული ხავსით გადაკრული არ იყო, როგორც ეს სწევით მის მავარ ადამიანებს, ის გრძობდა სხვის ტკივილებს და თავის მაღლიანი ხელით მალაშოს სდებდა. დღეს დავეკარგეთ ასეთი ძვირფასი ადამიანი. ეს ვოველი ქართველისთვის დიხაჯ რომ ფრიად სამწუხაროა.

საუკუნო იყოს შენი ხსენება, კეთილო დავით, შენი სახელი აროდეს არ აღმოიფხვრება ქართველთა გულთავან.

### დამიმეგობრდა...

დამიმეგობრდა... გული გააცნო, იმედი მითხზა, მორჩა იარა, შორს წარმიტაცა უცხო ჩვენებამ, ნუგეშით ფიქრი გამიზიარა!  
 დღეს მისით ვცოცხლობ, მისი ვარ მარად, ისიც გვერდს მიღვას, მესაუბრება შორს კავშინა გადაიქროლა მომეცა ლხინი, მომეცა შეება!...

\* \* \*  
 რა რომ ვიხილე, გული შეიპყრო, შეება მეწვია, ამაღლდა გრძობა, იამ სიამის ფრთები გაშალა ბუღბუღლო ტრფობით აღბეჭდა ნდობა!...  
 ნაკადის ჩუხჩუხს, შორით მოძახილს ჩიტუნა ლხენით მიეხმატკილა, გულს ჩააქსოვა იმედის ფრთები, უცინის, ეჭრფის, კოცნა შესწირა!...  
 ტიკტიკობს ჩიტი... შენსკენ მოეფრინავ, შენი ვარ მარად, სანამ სცემს გული, ოჰ, რა ღამაზათ ჩვენ ვიმეზავრებდით, საერთო გრძნობით გულ-აგზნებულთ!...  
 ტალღა წამების-ჩემი მჭანჯველი, გულის კიდურზე მიწყნარებულა, იქ კავშინი წყლულის ამშლელი ან სასიკვდილოდ გამოზადებულა!...  
 მოდი სიცოცხლე, მოდი შშვენებათ, ნახე იმედი დაობლებული, შენში ვიპოვე მე ნეტარება, სიამე შევბით გაბრწყინებულთ!...

## მხილი წარსულზე

დღნათ ბელეტრისტ მამს დავ. კლდააშეიღს.

მალა-მალა, იქ სადაც ვაცრეცილი ნის-  
ლები მწირათ მოარენი ამწვანებულ ველებს სვე-  
ლით დაუბრუნდნენ—მიფრენდა ბებერი, ჭკვიანი ყო-  
რანი...

იგი ჩუმათ გამოპაროდა სხვა ამხანაგებს და  
მიქროდა ენახა ის ძვალი, რომელიც წარსულში მი-  
მალა... ყორანი ზანტათ მიფრენდა და მისი გამ-  
ჭვრიტავი თვალები დანადგლიანებული დაუბრუნ-  
დნენ ხელოვნურათ ვაკეთებულ ბაღებს... აქ-კი წარ-  
სულში მას ასხოვდა ვაშლილი ველები... აქ მე-  
ფობდა თავისუფლების ღმერთი... ეხლა კი მათ ნა-  
ცვლათ დასადგურებულებიყვენ ადამიანები და წით-  
ლოვან სახლებიდან ზანტათ და ზოაზნით ამოდი-  
ოდა ბოლი...

ყორანს უნებურათ მოაგონდა ახალგაზრდობა...  
ეს იყო დიდი, დიდი ხანია მას აქეთ... და აისწო-  
რეთ ამ ალაგას, სადაც ეხლა ადამიანებს თვისი სა-  
ხლები გაეშენებიათ—იყო გარდაშლილი ველი და  
ყორანებს აქ ქონდათ სათარეშო ადგილი. მაგრამ,  
ეს წარსულში სანეტაროთ მოსაგონებელი, ველი  
ადამიანთაგან გაესილა და ბებერ ყორანს უხდებო-  
და შორს გაფრენა ერთი ძვლის ნატეხისათვის...

— ახ, ეს ადამიანები, ადამიანები! ბებერი  
ყორანი იცნობდა მათ... და როდესაც მას მოუხ-  
დებოდა ამ ადგილას გაფრენა—მალა, მალა აი-  
წვოდა, რომ მისი მოსვლა არავის გაეგო...

ყორანი, დიდხანს სცხოვრობდა ადამიანებთან.  
საკმელ-სასმელიც მრავალი ქონდა, მაგრამ იყო  
კი ბედნიერი?

და როდესაც მოქრილი ფრთა მოეზარდა, იგი  
აფრინდა და გაიპარა... გაიპარა რამოდენიმე ხანმა  
და ყორანი დაბრუნდა ძველ ალაგას...

და აქ მოხდა არა მოსაგონადელი... ბავ-  
შეებმა იგი ვერ იცნეს და ქვის სროლა დაუწყეს,  
ძველი პატრონი კი აღარ იყო...

— ის ალბათ ქალაქშია! გაიფიქრა ბებერმა  
ყორანმა და პატარა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა...  
უცხო ბავშვები ისევ ქვევით მიესალმენ...

ყორანმა თავი შეურაცხყოფილათ იცნო. მას  
სრულიად შესძავდა ადამიანები... და ყოველთვის  
ამ მიდამოზედ გასვლის დროს—მალა, მალა ღრუ-  
ბლებს ეკვროდა...

ყორანს უნებურათ მოაგონდა ადამიანებთან  
გატარებული დღეები... ამსომაში მან ისწავლა

რალაც ორიოდ სიტყვა... და ეხლა ისინიც დაე-  
წყებოდა... მხოლოთ არ დაეწყებოდა სიტყვა „გა-  
მარჯვება“...

და მწარე წარსულის მოგონებაში იგი ზან-  
ტათ მიფრენდა დაფლეთილ ღრუბელთ წიაღში და  
ღრო-გამოშვებით გადმოსჩხავლენდა ადამიანთა სად-  
გომს სიტყვა: „გამარჯვება“... და მხოლოთ საშა-  
რისებური სიჩუმე აძლევდა პასუხს ბრაზ-მორეულ  
ფრინველს...

უეცრათ მან შენიშნა დედა-მიწაზე რალაც შა-  
ვი რგოლი და როდესაც დაბლა—დაიწია დაინახა  
ხავს-მოდებული ტბა... ზედ ვადაკვროდა მწვანე,  
დამშალი ხავსი... მას იღუმალი ძალით სძინავდა...

— „გამარჯვება!“ გულ-საკლავი ხმით დასჩხა-  
ვლა გაბრაზებულმა ფრინველმა. მაგრამ ხმა არავინ  
ვასცა.

ბავჯვლიანი ფრინველი ფიქრით შებოკილი  
მძიმეთ დაეშვა ტბას იღუმალ ნაპირს... აქ ძველ-  
ბურათ მეფობდა სიჩუმე და სვედა... აქა-იქ ოდნავ  
ამოსულიყვენ პატარა ბუჩქები, წაღლიანნი, ავთ-  
მყოფნი... ტბის ყვავილები დამქვანარიყვენ და გა-  
შეშვებულნი ჩაკნებოდნენ მიწის წიაღს... და გა-  
დამხმარი ფესვები, ერთმანეთში შექსოვილინი-იღუ-  
მალ ნაპირზედ ცის ფერად იკლანკებოდნენ...

ყორანს მოაგონდა წარსული, აქ ამართული  
ას-წლოვანი მუხები... აქ იყო დაბურული ტყე...  
მაგრამ ღრომ, უღმობღელმა ღრომ არ დაინდო ისე-  
ნი... ჩამოცვნილი ფოთლებიც მსოფლიოს ხრი-  
ოკში გაბნეულიყო... მხოლოთ დარჩენილიყვენ  
წარსულას მოწამენი—გამხმარი ფესვები...

ყორანმა ნაღვლიანათ ასწია თავი და მიდამოს  
თვალი მოავლო... მაღალი ფერდობები ფიქრთა ბუ-  
რუსში გახვეულნი-სთვლემდნენ... ყორანმა ააბარ-  
ტყუნა ბნელეთის მსგავსი ფრთები და დასჩხავლა:

— „გამარჯვება!“... და ისევ არყოფნის სიჩუ-  
მემ შთანთქა მისი ხმა... უეცრათ მან დაინახა მის-  
კენ წამოღული ადამიანები... ისინი ახალი სხივთ  
შემოსილნი, ახლო-ახლო მივიდნენ... და წარსულის  
ფრინველი ბრაზით მორეული ხედავდა თუ რა უღ-  
ვოთ სჭრიდნ დარჩენილ ფესვებს წარსულთა სა-  
ძირკვლებს...

ბავშვებმა შენიშნეს იქვე მჯდომი ყორანი, დაი-  
ტვირთენ ქვევით და გამოეკიდნენ... ყორანმა მძი-  
მეთ აიტანა ტანი და კვლავ ღრუბლებს მიაშურა...  
ხედავდა თუ როგორ ნიავდებოდა ეს მყუდრო ბუ-  
დეც... ქრებოდა ის ადგილი, სადაც წარსულ გა-  
მოძახილებს ჩაეყვინათ ხავსიან ტბაში... ხედავდა  
როგორ ისპობოდა ამ იღუმალ ტბის დარაჯნი-წარ-  
სულთა ფესვები...

ბებერი ყორანი ისევ ღრუბელთ აეკრა და სვე-  
ინათ გასკურა ცის სივრცეში...

ძირს კი იშლებოდა ახალი ქვეყანა და ამოდ  
იებდა შენახულ ძვლის ნატეხს...

**სერ. კლდიაშვილი.**

# კ ა მ ა თ ი

„მზეო, ამოდი, ამოდი,  
შვე მთის იქიდან მალეო,  
სუსხმა დამაქუნო ზამთრისამ  
მისხენი, გენაცვალეო!  
გასტეხე ყინვის მუხრუჭი,  
შემუსრე ღამის ძაღლო,  
სულ ბნელა: ვარსკვლათ ვერ ვხედავ,  
მთვარეც კი მიიმალო.“

იქით ზღვა გმინავს, ქოთქოათებს,  
დაბლობზე ქარი სისწინებს  
და ყინვაც მას თან დაჰყვება,  
ხან კი ჩემს მკერდზე იძინებს.

აქ ახლოს ლოდი ავლია:  
ჩემი ამ ყოფის მნახველი,  
ისიც კი სტირის, უგულოს  
გულში ეგუბვის ნალველი.

ვისღა მივმართო, თუ არ შენ?  
მზეო, ამოდი მალეო,  
სულსა მზღის სუსხი ზამთრისა  
მისხენი, გენაცვალეო“...

ასე იწვევდა მზეს ია,  
ზამთრის მუხრუჭ ქვეშ მგმინავი  
და იქვე ახლოს ისმოდა,  
პასუხათ, სხვა ხმა, მცინავი.

ამას ამბობდა ეკალი:  
„იკურთხონ ჩემი ქაცვები!  
იავ, მზეს, აბა, რათ იწვევ?  
ვერ ხედავ თავზე გაწვება?“

თუ გინდა მზეც ამოვიდეს,  
მომართოს თვისი სხივები,  
გტყორცნოს და მკერდი გაგიპოს,  
ზამთრისგან ვანაცივები,

შენც ფრთა აისხა, ამალღდე,  
გაშალო შენი ალმები,  
მე აქვე არ ვარ, საბრალოვ?  
მყის გულში ჩაგეკალმები!“

და იყო ბჭობა, კამათი...  
დროება ისევ დიოდა,

ბედზე თუ უბედობაზე  
მარტო ის არა სჩიოდა.

გატყდა ზამთარი. მზე მთის წვერს  
უკვე აშორდა ზვეიდა.  
აყვავდა ია ღღის მნათობს  
მადლს უზღვის თავის ქნევიათა.  
ეკალი?! გასკრა მებაღემ,  
რომ ნახა ბალის პირათა:  
ავს, სხვისთვის ავი განზრახვა,  
თავზე ატყდება ქირათა!..

**ნ. ზომლეთელი.**

# ო რ შ ა ბ ა თ ი

(გოდ. ერთ მოქმედებათ)

(შემდეგი. იხ. საღამური № 17).

-სოფიო და ონოფრე.

ონოფრე (შემოდის) რა გნებათ ქალბატონო?  
სოფიო. აბა, კარები გაულე, დამფასებლები  
მოვიდენ.

ონოფრე. რას ბრძანებთ, ქალბატონო, რის  
დამფასებლები?

სოფიო (ბრახდება) გააღე, ბიჭო, დამფასებლე-  
ბი არიან?

ონოფრე (გაოცებული). იმე! რაღა, ძროხა ხომ  
არა ვარ, ქალბატონო, რომ დამფასონ!

სოფიო (ვიანხლებული). არ გესმის, ბიჭო! გა-  
აღე ჩქარა, ქაოქაის თვითმართველობიდან არიან  
დამფასებლები.

ონოფრე. ტყუილათ მობრძანებულან, მე ერთ-  
ხელ კიდევ დამფასეს, კიდევ ამწონეს, კიდევ გამ-  
ზომეს, გამსინჯეს და ბარე სამი წელიწადი ორფუ-  
თიანი თოფი ვათრიე ახლა საჭირო არ არის ჩემი  
დაფესება, სალდათობა გავათავე.

სოფიო (ღომილი მოსდის). შენ კი არა, შე  
ტუტუტო, ჩემი სახლი უნდა შეაფასონ.

ონოფრე (გაოცებული). თქვენი სახლიი! ან  
მოსწყინდათ ამ ოჯახქორებს ამდღეჯერ თქვენი სახ-  
ლის ფასება? (აღებს, კარებს, შემოდინ ხარაბუზიან-  
ცი და ჩათლახად).

## გამოსვლა მეთოთხმეტე.

იგინვე ხარაბუზიანცი და ჩათლახად.

კანაპეც (მაღალი, ქერა, გრძელი გაბურძგენი-  
ლი უღვაშები, მოკლეთ შეკრეპილი წვერი. მე-  
ლოტია, დიდრონი კბილები, თავი ისე მოაქვს, თი-  
თქოს დიდი თანამდებობის ვინმე იყვეს. მკაცრი კი-

ლო. ტანთ შავი, სახაფხულო პალტო აცვია და ნაცრისფერი ქუდი ხურავს, ხელში პორთფელი უჭირავს. გაჩერდება კარებთან). კარაპეტ ხარაბუხიანცი, ქალაქის უძრავ ქონებათა შემფასებელ მეთვრამეტე პარტიის წევრი.

ზაფხონ ჩაფხაძე (დაბალ-დაბალი, პატარა უღვაშები, წვერი მოპარსული აქვს, თმა მოკლეთ შეკრეპილი, პატარა ქრელ თვალებს ეშმაკურათ ატრიალებს. ისიც გაჩერდება ხარაბუხიანცის გვერდით და ღიმილით) აპოლონ ჩათლახაძე.

სოფია (გაჯავრებული). ერთი ეს მითხარით, ღვთის გულისთვის, არ მოგწყინდათ ჩემი სახლის ფასება? რა გხდა ასეთი ჩემი სახლი, რომ წელიწადში ათასჯერ აფასებთ.

კარაპეტ. ჩვენი ბრალი არ არის, ასეთია უპირავის გადაწყვეტილება.

სოფია (განჩხლებული). შავი ქირი, ხოლერა იმ თქვენ უპირავს. სიკვდილს გადაარჩა ადამიანი და ამ თქვენ უპირავს, რომ ვერ გადავრჩით არ იქნა? იქ, რომ სხედან ჯიბეები დაფრუტათ და ჩემი სახლით უნდათ გაიტენონ?! დღე ერთი არის და ასი მოდის აი წყლის ფულით, აი დაფასების, აი საერობო, სახელმწიფო და სხვა. თუ გინდათ ათასჯერ გადააფას გადმოაფასეთ ეს ჩემი ოხერი სახლი, რაც არ შემოძლია იმას ვერ შემოძლიანებთ ბარემ წაიღეთ ეს ჩემი ოხერი სახლი და მომასვენეთ?!

კარაპეტა (სერიოზულათ). ჩვენი ბრალი არ არის ასე გვევალენ და ჩვენც უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

სოფია (განჩხლებული). მოვალეობა, მოვალეობა პირველათ არ მესმის ეს სიტყვა, ყველა ამ სიტყვით იზანს პირს. თითქო თქვენ არაფერ შუაში იყოთ, რომ მოღიხართ ორშაბათ დილით და მაწუხებთ.

ზაფხონ (ღიმილით). გარწმუნებთ, ქალბატონო, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ.

სოფია. თუ არაფერ შუაში ხართ, თქვენც ადევით და მოახსენეთ იქ, რომ ჩემ სახლს არავითარი შემოსავალი არა აქვს და მაპატრონო გიდასახალი. აი ეს იქნება სამართლიანობა.

კარაპეტა. უკაცრავო, მაგრამ ჩვენ გვეჩქარება და ბევრს ნუ გველაპარაკებთ.

სოფია. თუ გვეჩქარებათ არავინ გიქერთ მიბრძანდით.

კარაპეტა. ჩვენ მივბრძანდებით, მაგრამ თქვენთვის უარესი იქნება, როგორც მოგვესურვება ისე შევფასებთ სახლს მეგრად ადევით და ირბინეთ უპირავში.

სოფია. ვაი, რა შავი დღე იყო, მე რომ ეს ცეცხლის დასაწვავი სახლი ვიყიდე. ჩვენ, თქვენი მეგობრები ვყოფილვართ მაშ, ვაშენებთ სახლებს, ვდარაჯობთ მობრძანდებით და მიგაქვთ ფულები.

ზაფხონ. გთხოვთ, ქალბატონო, ნუ გვაცდნეთ ტყუილი ლაპარაკით, თუ გნებავთ შევფასებთ თქვენს სახლს, თუ არა და წავალთ.

სოფია (ბრაზიანათ). ტყუილი ლაპარაკი რომ მგლია, სულისაგან ხორცამდე ტყავს გვაძრობთ და კიდევ ნუ ვილაპარაკებთ? დიდებუ შენ ღმერთო, აბა თუ სადმე გავიგონია, რომ ორშაბათს მიადგეს კაცი კარებზე და გინდა თუ არა სახლი უნდა შევფასავო. დაფასების ფულს ვიხდი და რომ აქ დაიხოცოთ ორნივე ერთ გროშს მეტს არ გადავიხდი. თქვენ თურმე ყველას უმატებთ გადასახადებს და გინდათ მეც მომიმატოთ?

კარაპეტა. ეგ ტყუილია. ვინახეთ თქვენ სახლს, შევფასებთ და შემდეგ იქნებ კიდევ დაგიკლოთ გადასახადი.

სოფია (რბილათ) თუ კი აგრეთ მაშ დაიფასეთ. ზაფხონი. აბა ოთახები გვაჩვენეთ.

სოფია (გაკვირვებული) ეს რაღა ამბავია?

კარაპეტა. ის ამბავია, რომ უნდა დავითვლიეროთ ყველა ოთახები და შევფასავო.

სოფია. განა ყველა კუნჭულები უნდა დაათვალიეროთ? არ იქნება მე არ მინდა ჩემი ოთახი გავჩვენოთ.

კარაპეტა. თუ ან გვაჩვენებთ, ძალათ ჩვენ არ შევალთ, დაფასებთ როგორც მოგვესურვება. მაგალითად ერთ ოთახს 20 მანეთათ.

სოფია. როგორც ვატყობ თქვენთან არაფერი გავა. აბა, წამობრძანდით და გაჩვენებთ. (გაჰყავს ყველანი მარჯვნივ).

**გამოსვლა მეხუთმეტე.**

ონოფრე მარტო, შემდეგ მიხილი, სოფია, ხარაბუხიანცი და ჩათლახაძე.

ონოფრე (ცოტა ხანს გაშტერებულია, რაღაც უცნაურათ იღიმება და თავს აქანებს), კინაღამ არ შემეცინია იმ წყეულმა ეშმაქმა და კინაღამ არ დავიღუბე? მე უბედურმა ვიფიქრე შევირთავ ცოლს ავიღებ იჯარით ნახალოვცაში ქალაქიდან მიწას და ერთ პატარა ოთახს ავაშენებ მეთქი. მეგონა მოსვენებით ვიქნებოდი. იმისთანა შენს მტერს თურმე მე რომ დღე დამადგებოდა ამომპრობდენ, ბატონო, ამ ცოდვილ სულს და რაღა სიცოცხლე იქნებოდა ჩემი სიცოცხლე. ვაი, ღმერთმა დამიფაროს თუ შე

აწი ან ცოლი ვიფიქრო და ან სახლი. სანამ ცო-  
ცხალი ვარ ამ „კუხნას“ არ მოვშორდები და რომ  
მოკვდები მერე ჯანდაბას ჩემი თავი. არც პოლი-  
ცია მაწუხებს და არც უპრაფა (ოთახიდან მოისმის  
მიხეილის ქნავილი) ეს უბედური, რომ ან მოკვდე-  
ბოდეს და ან მორჩებოდეს სრული თავისუფალი  
ვიქნები (შედის ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ მო-  
აგორებს მიხეილს) ჰა ნუ ჩხავი. (მიაგორებს სარ-  
კმელთან და გააჩერებს. შემოდინ ხარაბუზიანცი,  
ჩათლახაძე და სოფია (მიადგებიან ერთ ოთახის კ-  
რებს).

კანაქტა (კარებზე დააკაკუნებს გამოდის მღვმუ-  
რი დედაკაცი) რამდენი ოთახი გაქვთ?

მღვმურა (ყოყმანით) ორი.

ანდონა. რას აძლევთ ქირას.

მღვმურა (ყოყმანობს შეხედავს სოფიოს. სო-  
ფია ხუთ თითს უჩვენებს) ხუთ მანეთს.

ანდონა (თვალს მოჰკრავს სოფიოს თითებს,  
გაიღიმება და ყურში უჩურჩულებს კარბეტს). დი-  
ასახლისი თითებით ელაპარაკება. დასწერე თუმანი.

კანაქტა (სწერს და თან ამბობს). ორი ოთახი  
ერთი თუმანი.

სოფია. რის თუმანი? ხუთი მანეთი. (მიადგე-  
ბიან მერე ოთახს).

კანაქტა (დააკაკუნებს კარებს. გამოდის ძღვმუ-  
რი, შუა ხნის კაცი). რამდენი ოთახი გაქვთ?

მღვმურა. სამი ოთახი.

ანდონა. რას აძლევთ?

მღვმურა. (ყოყმანობს. ისიც სოფიოს  
უყურებს).

სოფია (ათ თითს უჩვენებს).

ანდონა (თვალს ადევნებს. ხარაბუზიანცს). და-  
სწერეთ ხუთმეტრი მანეთი.

ანდონა (თვალს ადევნებს ქალბატონის ოინებს  
და ძალზე იცინის) ვაი, თქვენისთანა დამფასებლებს  
კი რა ვუთხრა, როგორ გავაცურათ ორივე ჩემმა  
ქალბატონმა? ვენაცვალე შიგის თითებს.

კანაქტა (როცა ჩამოივლიან ყველა ოთახებს,  
მივა დაჯდება მაგიდასთან გაშლის პორტფელს და  
საწერათ მოემზადება. სოფია და აპოლონიკ დას-  
ხდებიან) აქ შეიძლება ესწეროთ?

სოფია. როგორ არა. თქვენ იცით და თქვენ-  
მა ღმერთმა თუ რამეს დამიკლებთ გადასახადს.

ანდონა. ენახოთ, ბატონო, ვეცდებით სამარ-  
თლიანათ დავაფასოთ.

კანაქტა (ცოტა ხანს სწერენ ორივე. გაათა-  
ვებენ წერას) რამდენში გქვთ დაგირავებული სახლი?  
სოფია. ხუთმეტრი ათას მანეთში.

ანდონა. ჩვენ დავაფასეთ თქვენი სახლი ცხრა  
ათასი მანეთი. ვთხოვა; ხელი მოაწერეთ კმაყო-  
ფილი ხართ?

სოფია. ოჰ. სიკეთე მოგვაც ღმერთმა თუ ეი-  
ცოცხლე თქვენ პატივისცემას გადავიხდი. მაპატიეთ,  
ბატონებო, თუ ზედ მეტი რაზე გაკადრეთ. რომ  
იკადრეთ რა დღეში ვარ დღეს, რა ორშაბათი გა-  
მითენდა იმედი შექვს მაპატიებთ. (ხელს აწერს. ხა-  
რაბუზიანცი და ჩათლახაძე წამოდგებიან).

კანაქტა (თავს უკრავს). მშვიდობით ბრძანდე-  
ბოდეთ.

სოფია. მშვიდობით! გმადლობთ. (ხარაბუზიან-  
ცი და ჩათლახაძე მიდიან კარებისკენ). სოფია კა-  
რებთან გააჩერებს) ერთი ეს გვიბრძანეთ დავასების  
ფული რამდენი უნდა გადავიხადო?

კანაქტა. წინათ რამდენს იხდილით.

სოფია. წინათ 45 მანეთს.

ანდონა. ენლა 90 მანეთს გადაიხდი.

სოფია (უცბათ ცეცხლივით აენტება და ყვი-  
რის) უი დამიდგეს თვალეზი აა თქვე ყაჩაღებო,  
თქვე მძარცველებო! თქვე არამზადებო! მომატყუ-  
ილიეთ, ხელი მომაწერინეთ. მიშველეთ! (გული მის-  
დის. მივსვენება ონოფრეს ხელეზზე. ხარაბუზიანცი და  
ჩათლახაძე გარბიან).

ანდონა (ნელა მიიყვანს და სივარძელში ჩას-  
ვამს. მიუჩოქებს გვერდით ხელს უსვამს პირზე და  
მოთქმის ხმოთ) არ მომიკვდე ქალბატონო, არ გა-  
მოშკრა ყელი, არ დამაქერიყო (კარებისკენ ყვი-  
რის) ვერ წახვალთ, თქვე ავაზაკებო, ვერა.

### გამოსვლა მეთექვსმეტე.

სოფია, ანდონა და ანიკო.

ანიკო (შემოვარდება ყვირილზე, უშლიაობთ,  
შუა კარიდან, დინახავს იუ არა ამ სურათს, ხე-  
ლებს გაასვსავებს, საშინელ სახეს მიიღებს, ისტე-  
რიკა ემართება და ყვირილით გარბის უკან).

მისხელა (სიგითემდე მიდის, სახარელი ხმით  
ჩხავის, ხელს უქნევს ონოფრეს და ეშუქრება. ხე-  
ლებს გულზე ირტყამს).

ანდონა (ხელს ჩაუქნევს მიხეილს). შე უბედუ-  
რო ჩხავილის მეტი რა იცი, ხომ ხედავ გეფსება  
თვალეზი (მიუბრუნდება სოფიოს და ნელ ნელა ხე-  
ლს უსვამს უზღოზე და გულზე) არ მომიკვდე ქალ-  
ბატონო, არ დაგვლუპო. (ცოტა ხანს დაარტყრდე-  
ბა ამოიხვნეშს) დედა! რა ლამაზია, რა ანგელო-  
ზია! (ფარდა ნელ ნელა ეშვება).

ირიფელი.

### ს ე ი ნ ე ს ე ბ უ რ ი .

დილის ჟიჟრაჟე ტირიფთა ჩრდილ ქვეშ მოეკრივე ია, ია ცის ფერი და საღამოს ჟამს ზამზახთა სუნით თავ-ბრუ დაგასხი, გამოგათვერი

ხომ მიხვდი, ტურფავ, ამ გამოცანით რა უნდა გითხრა, რა უნდა გთხოვო?— უნდა რიჟრაჟე დამათრო კოცნით, და საღამოთი სულს სიულ ჩამექსოვო.

ა. გრიშაშვილი.

## ვერცხლის კოვზი.

(თარგმანი გერმანულიდან)

ვენაში, ერთი აფიგერა სსსტუმროში შევიდა სსს-დილოთ. აქ თავი მოეყარა ხადს, სოჯი მათგანი მისი ნაგნობი იყო. მათში მრავლათ ითვენ ჰატოასანი და უხატოასონი. აფიგერა სოფრას მოუყდა და ხადლის ჭამს შეუდგა. ამ დროს მან შეამჩნია, რომ ერთი კაცე, ლურჯ ტანსცემელში, ვერცხლის კოვზს ათამშებდა და თამაშის დროს ეს კოვზი ურებ ტანსცემელის სსსკლავში ჩაკვლო. აფიგერის ადგილზე სსსკ ვინმე ამის დანახვასე ან ერთ ადამქოთს ასტეხდა, ან სულ გახუმდებოდა ვითომც აქ არაფერიათ. აფიგერამ კი არც ჰირველ სსსკვალეხას მიმართა და არც შეარეს; იმანც აიღო ვერცხლის კოვზი და მუნდირის დაღებში ისე გაიკვია, როგორც ვარაჩკანი აკეთებენ, ხოლმე, იმის დროს.

სადამის შემდეგ სსსტუმროს ჰატონი მოვიდა და ანგარიში მოისთავა, აფიგერის გულზე შეამჩნია ვერცხლის კოვზი, გაუკვირდა და გაითქვა: „სსსკვარველ ირდესს; ატარებს ჰატონი აფიგერა“. აფიგერამ ანგარიში გაუსწორა და უთხრა:

- კოვზის ფასიც გადავიხადო.
- სსსტუმროს ჰატონს ეს არ ეჭამება.
- „თუ სსსკლავში კოვზი არა ეჭამებ; მე შემიძლია უმბალო კოვზი გითავაზოთ, ეს ჩემი ვერცხლის კოვზი კი აქ უნდა დანტოვოთ“. აფიგერა წამოხტა, მუხსხლოვდა სსსტუმროს ჰატონს, მხრებზე სელი და ჰჭკრა, გუ-ღიანად გაიციანა და უთხრა:

— „სვენ ვისუმრეთ, მე და ია იმ კაცმა, აქ რომ ხის ლურჯ ტანსამოსანი“.

— თქვენ,— მიმართა აფიგერამ იმ კაცს,— ამოიღეთ სსსკლავი ვერცხლის კოვზი“.

აქ ქურდმა გაითქვა, რომ სსსკმე ცუდათ დატრიალდა მისი ქურდული სსსკვალა ვერ გამოადგა და ამიტომ აჯობინა სუმრობით უსარგებლა, ისიც წამოხტა და, ამოიღო სსსკლავი ვერცხლის კოვზი, ამის დანახვასე უფ-

დამ სიცილი ასტეხა, ქურდმაც ბეერი იცინა, მაგრამ მისი სიცილი დიდსსს არ გავრძელდა. სსსტუმროსმა გაიგეს, რომ ეს სუმრობა კი არა, სსსკვალა ქურდობა იყო, ქურდს ერთი თრი ჰანდური უთავაზეს და სსსტუმროდან გამოავადეს. სსსტუმროს ჰატონსმა კი ჰატოასან აფიგერს დირსეულად გაუმასწავლდა.

თამარა ჭივიშვილი.

## შაყი დიღზ

გახაფხულის წყნარი ღამე იყო, კაშაშა მთვარე ცის ტატრობიდან მედიდურათ გადმოიყურებოდა და არე მარეს უხვათ აფრქვევდა თავის მადლიან მკრთალ სხივებს ყველა არსი საამო ძიღს მისცემოდა, სული გაენაბა, მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ბულბულის ტკბილი ენის რაკრაკი თითქოს მოსვენების მიცემულ შრომის შვილთ ნანას უმღერისო. რ იცინა მხოლოდ გიგოს. თითქმის ორი საათილა იქნებოდა გათენებამდღ, რომ მისი სხლის სარკმელიდან ჯერ კიდევ მოსჩანდა სინათლე. აგერ რამდენიმე ხანი, რაც საბრალო გიგოს თვალზე რული არ მიჰკარებია, მთელი ღამეები ის სდარაჯობს ავათმყოფ შვილს ვიქტორს. ვიქტორი ალტანელ ჰირობების გამო დაუძლიერდა და ლოგინათ ჩავარდა. გამოვიდა თუ არა სატუსალოდან ჩაწვა. სატუსალოს მრისხანე დღეებში თავისი ქნეს, ვიქტორის სხეული მოსწამლეს. საბრალო გიგოს მოუსვენრობა ეტყობოდა. ხან გულზე ხელებ დაკრფილი ავათმყოფის საწოლს დაშტერდებოდა და გულის დამთოთფილი გმინვა აღმოხდებოდა გულიდან, ხან კი სარკმელს მიდგებოდა და საცოდავით ჰქვითინებდა.

— გიგო! გიგო, იწამე ღმერთი, დაწყნარდი... სტორი კიდევ? ააა?... ვი ამ დღის მომსწრეს სოფიოს... ბარემ მოდი და ორივე დედა შვილი ლოგინზე დაგვაკალი. რათ არ მოკვდი, სანამ შენს თვალზეზე ცრემლებს დავიზახავდი. კიდევ იმედი მქონდა ჩემით. ბიქტორის მორჩენის და... ახლა კი... აღარ მაქვს... ომ! შე დალოცვილო ღმერთო! რა შეგცოდეთ ასეთი რომ ასე გვტანჯავ? ვიქტორი ხომ შენი მივედრებელი იყო?

ხელებ მაღლა აპრობილი წარმოსთქვა ვიქტორის დედამ სოფიომ ხატის წინ მუხლებზე დაეშვა და თვალთავან ცრემლის ნიაღვარი წასქდა.

— აღაძიანო! ცოტა ჩუმათ, ბიჭი არ გამოაღვიძო, ღმერთს რათ სცოდებ? აბა ასე როგორ მოგვიტყუებს? მე თუ ვწუხვარ იმიტომ კი არა ვითომ ვიქტორს რამე უჭირს? არა. მე ისე შეგვჩიერ-



და შევისისხლობორცე მწუხარება, რომ მზიარულების დროსაც ვერ ვახერხებ სიამოვნების გამოხატვას. მით უფრო ახლა, აბა მითხარ რა მაქვს სამწუხარო? ჩემი ვიქტორი... ..ხუთი ლამე უძილობით იტანჯებოდა და ამ ბედნიერ ღამეს ხომ ხედავ როგორ დაწყნარებული სძინავს და სულის აქმაც წინანდელზე გაცილებით უკეთესი აქვს??

— ღმერთო დიდებულო! შენი ტახტის და მუხლის ქირიმე, გვაპატიე თუ რამე შეგცოდნეთ, გვაქმარე ეს ოდენი შვილებიდან გამწარება. ღმერთო... ღმერთო.

წაილაპარაკა ცოტათი იმედ-მოცემულმა სოფიომ, ფეხზე წამოდგა და ავათყოფის ფეხებთან ჩამოჯდა. მამლებმა ყვილი მორთეს აღმოსავლეთი წითლათ შეიღება გათენებაც მოატანა... გათენდა. მზემ თავის სხივები გადმოაფრქვია. სოფელი ახმაურდა. ყველა დღიურ ლუკმის ძებნას შეუდგა. გიგოს და სოფიოს კი ამ დროს უძილობიდან დასიებული თვალები ხატისკენ მიებყრათ, მის წინ მუხლი მოედრიკათ, თითებზე სანთლები დაენთათ და ასე ამ რიგათ ვიქტორის თავს ღმერთს ავედრებდენ.

უცებ ავათყოფი შეიძრა, ზეზე წამოიწია მოინდომა, ვეღარ შესძლო და ღონე მიხდილი საწოლზე დაეცა. ხელებს პირდაპირ კედლისკენ აშვევრდა, უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა— შეუპოვრათ იბრძოდა, გეგონებოდათ თითქოს უხილავ ძალას შეუზოქია და სკდინობს თავი გაინთავისუფლოსო.

— შეილო... ვიქტორ... ოჯახს აციებ?? გვაობლებ?? ღმერთო... შე დალოცვილო რა იქნებოდა რომ ერთ-ორ დღეს ჩემს ვიქტორსაც ველო ქვეყანაზე... გულის მომკვლელი ხმით დაიკვილა სოფიომ და გულ შეწუხებულად ჩაიკეცა. ავათყოფი კი კვლავინდებურათ რაღაცას ებრძოდა, თვალები ერთ წერტილისთვის მიეშტერებია და გაუგებრათ ლულულუდებდა.

— შეილო... ვიქტორ... შეიბრალე დედა-შენი, შ...ე...მი...ნი...ბ...რ...ა...ლ...ე...ე... რა გემართება გადმოხმედ... ღმერთო! ღმერთო! მარტოქე, მარტოქე ამოიგმინა გიგომ და იატაკზე ბრაგვანი მოიღო.

ავათყოფი კვლავ წამოიქრა ზეზე, მაგრამ როგორც წინათ ისე ახლაც ვეღარ შესძლო და ღონეზნებ დაეცა მიბნედილი თვალები გულ შეწუხებულ მშობლებს მიაშტერა, ისედაც დატანჯული სახე უფრო დაედრიოჯა. რამდენიმე წუთს აცრემლებული თვალებით უყურა მშობლებს. მერე უცებ თითქოს დაიმორჩილა ის ძალი, რომელიც ლაპარაკის უფლებას ართმევდა და ძლივს გასაგანი ხმით წარმოთქვა!

— დედა! მამა! რას იხოცათ თავებს? თქვენი ლოცვა ვედრება ტყუილია. სიმათლის და სიყვარულის ღმერთი მას არ გაიგონებს. მე ვეძებდი მას, მივიღტოდი მისკენ, მაგრამ ვერ მივახწიე. ტყუილია თქვენი ვედრება... მე ეხლა ვეღარაფერი მიშველის... მშვიდობით... მამა... ვიქტორს კიდევ უნდოდა სადაც ეთქვა მაგრამ ენა ჩაუვარდა და სიმუდამოთ დახუტა თვალები.

შე ისევ ანათებდა, აქა-იქ გაისმოდა სოფლათ ოროველს ხმა, ყველა საკუთარ საქმეში იყო გართული. გიგოს სახლიდან კი გულ დათუთქული დედა-მამის გულის გაუმტარავი გმინვა ისმოდა.

საბარლო გიგო და სოფო ჩაბლაოდენ შეილის გაციებულ გვამს.

კ. პიპინაშვილი.

### ზამთრის სიზმარი.

ღამას სამ მოქმედებას

(მაქს დრერისა)

(გაგრძელება. იხ. ახლა. № 17)

#### გამოხვლა მესამე.

არეს. (მითარეგს) ნულარ ავციანებ, წვიდეთ... ტრუდა. (მივა ფანჯარასთან ამოიღებს ჯიბიდან წერილს და კითხულობს. პაუზა).

გერლფო. (მიუჯდება ბუხარს) თავი დაანებე, ქალო, კითხვას. თვალები გაგიფუტლება.

ტრუდა. სანათი ავანთო?

გერლფო. ჯერ აღრეა. ჰინდისას ასე უფრო სასიამოვნოა. (ისმის ქარის გრაილი) რა ამინდი!

ტრუდა. (ფანჯარაში იცქირება) აღარაფერი ჩანს, თოვლის ტრილის გარდა.

გერლფო. შენ ისევ პრაზიანობ! აღბად დღეს ეგრე უნდა იყო სულ. სწორეთ დღეს უნდა მიგელო წერილი, იმ შენს პრანქიასავან?

ტრუდა. (აღლევებული) ძალი, მე გიკრძალავ იმაზედ ლაპარაკს...

გერლფო. გოგო, რომელიც ჯერ კიდევ სასწავლებელშია და ღია წერილებს კი გზავნის, როგორც მამაკაცი...

ტრუდა. ღია წერილი იმისი ასჯერ უფრო შინაარსიანია, ვიდრე...

გერლფო. (აწვეტიანებს) სისულელეა. ისა და იმისი დედა, შენს მაგიერ პასუხს აგებენ მაღალის ღმერთის წინაშე. შენ რომ იმის დედასთან არ ყო-

ფილიყავი სასწავლებელში კეთილ გონიერი ქალი იქნებოდი დღეს.

ტრუდა. შენთვის ეს გუაგუბარია, მე კი მაგ გვარს ლაპარაკს იმაზე და იმის დედის მადლობელი უნდა ვიყო, რომ მე თვალ-ახელილი ადამიანი ვარ. იმან გარდავაქცია ჩვენ თანამედროვე ქალე-ბათ.

გურლაფე. თანამედროვე, თანამედროვე...რა სა-ქირაა შენთვის თანამედროვეობა, როდესაც შენ დანიშნული ხარ.

ტრუდა. მე გეუბნები, რომ შენ სხვა ქვეყნის ადამიანი ხარ.

გურლაფე. შენთან მავაზედ ჩხუბს არ დაიწყებ, აქაური ერთგვარობა კი მომაბეზრებელია, განსაკუთ-რებით ზამთარში. აგრეთვე ზაფხულშიც.

ტრუდა. ზაფხულშიც.

გურლაფე. შენ, დემრთმა ხომ იცის, ამაზედ ჩივილის ნება არა გაქვს. შენ აქ აუარებელი წიგ-ნები გაქვს.

ტრუდა. ეგ მართალია, მაგრამ წიგნების კითხვა მე აღარას მძალევეს. მე ვხედავ სიტყვებს, ასოებს, ხოლო თვით ცხოვრება, სიცოცხლე კი არ არის, შინაარსს მოკლებულია. ჩვენ აქ ცხოვრებისაგან განმარტოვებული; გარიყულნი ვართ. ჩვენთან არა-ვინ არ დაიარება.

გურლაფე. არა, არა, ეგ კი გადამეტებულია.

ტრუდა. დიხ, ორდღეში ერთხელ ვაზეთების დამტარებელი მოდის და თვეში ერთხელ ბუხრის კვამლსადენის მწმენდავი. მე იმათ სიამოვნებით გა-მოველაპარაკებოდი, სავრამ იმათ არ შეუძლიანთ. ვაზეთების დამტარებელი ყოველთვის გარბის, თით-ქოს ჩვენი ეშინოდეს..

გურლაფე. იმას ბევრი საქმეები აქვს.

ტრუდა. კვამლსადენის მწმენდავი კი—ჩუმი, გულჩათხრობილი, ქვარტლ-გადაკარული, გაციებული ადამიანია.

გურლაფე. შენ ხალხთან ლაპარაკი არ შეგიძ-ლია.

ტრუდა. რასაკვირველია, დამნაშავე მე ვარ, მაგრამ ეს ვარემოება სრულიადაც არ სცვლის საქ-მის ფითარებას. 27 ენკენისთვის, მამაჩემის დაბადე-ბის წინა დღეს, ჩვენს სახლში დიდი ამბავი მოხდა. დანების გამლესავი შემოვიდა..

გურლაფე. რომელიც მალე წავიდა.

ტრუდა. (თავის ქნევით) ის ყოვლად სძაგე-ლი ბებერი იყო მულამ არყის სუნი ამოსდიოდა და ყოველთვის სისულელეს რომავდა. მიუხედავად ამისა მე იმას მინც ველაპარაკებოდი. მას შემდეგ

ავერ ოთხი თვე გავიდა და არც ერთს სულდგმულს ჩვენთან არ შემოუხედა.

გურლაფე. (თავს იქნევს) რა ქალი ხარ?

ტრუდა. არავითარი ახალი შთაბეჭდილება, სრუ-ლიად არავითარი. ყველა ის რაც კი იყო ჩემში კარგი, ნელნელ ქრება, როგორც უხეთო კანდელა-ში სინათლე. თქვენ, ყველას ვინც აქა ხართ..

გურლაფე. რა ჩვენ?

ტრუდა. თქვენ არ გესმით, რა მაცლია მე ცხო-ვრებაში.

გურლაფე. (სიცილით) მე კი ვიცი რაც გაქ-ლია, ჩემო გოგონავ, მაგრამ...

ტრუდა. შენც და მამაჩემიც დაბერებულხართ, მე კი ჯერ ახალგაზრდა ვარ, თქვენ თქვენი დრო მოგიქმნიათ და მოგონებანი დაგჩენიათ. მეტიც აღარა გინდათ რა. თქვენ გულგრილად უყუ-რებთ თქვენს გარშემო და მთელს ქვეყანაზედ მომხდარ ამბებს, ახალს საზოგადოებრივ მისწრა-ფებას, იმას რაც მე მიანტერესებს, რასაც მწერს ანას..

გურლაფე. ღია წერილებში?

ტრუდა. ეგ სულ ერთია. მაშინ მე ვხედავ თვით ცხოვრებას, ვხედავ რასაც იძლევა იგი და რასაც თხოულობს ჩვენგან. მე ვხედავ, რომ რამდენადაც იზრდება გონებრივ ანა, იმდენად ის მძლავრი თა-ვისუფალი და ბედნიერია თავის მისწრაფებებში და შემოქმედაბაში; მასთან ერთად ვხედავ ჩემს თავსაც და იმ დაუსრულებელ კმუნვა-მწუხარებას, რომელ-შიც მე ვიპყრები.

გურლაფე. თავი დაანებე სისულელის ბოდვას.

ტრუდა. მე ჯერ კიდევ მაქვს უნარი ამ განსხვა-ვების ვაგებისა, მაგრამ ვინ იცის?... იქნებ მალე ეს უნარიც დაეკარგო. აი, ამის წარმოდგენა მაგი-ყებს მე. რატომ არ შემიძლია მე აქაც ვავიჩინო აზრინი და შესაფერი საქმე? რა სარგებლობა მო-მაქვს მე? რა ვარ? მამას მართლ-წერაში ვწველი და მეტი არაფერი.

გურლაფე. გინდა ეგრეც იყო, რა უშავს. ასე-თი მდგომარეობა, ხომ დიდხანს არ ვაგრძელებდა. ვათხოვლები და მაშინ თავისუფალი იქნები.

ტრუდა. (მობრუნდება, მხრების აწევით) ჰო, ჰო... უმჯობესია ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ.

გურლაფე. (შეხედავს) შენ რომ მართალი ქვიანი ქალი იყო, არც ერთხელ არ იჩივლებდი აქაურს სიმარტოვეზე და სიცალიერზე. მაშინ შენ გე-ცოდინებოდა, რომ ადამიანი არსად არ არის ისე ბედნიერი, როგორც თავისიანების პატარა წრეში. ყველა წიგნში ამას ამოკითხავ-ქვეყანა და ქვეყნი-ერება მხოლოდ სურვილებს ბადებს.

ტრუდა. სურვილებს?! და ბედნიერებაც ხომ სურვილებშია. მხოლოდ სურვილებს ფართო გზა, უნდა მიეცეს, იგინი ცხოვრებას უნდა ეტებოდნ არ ვარგა თვალუბის განზრახ ახვევა და ხელფეის შეებორკვა.

გურლაფე. (თავის ქნევით) წახვედი შენ დღეს ოცნების სამთავროში. ეს დაუჯერებელია. გასათხოვარი ქალი კმაყოფილი არ არის, წუწუნებს... შენ სიხარულით მუდამ ჟამს უნდა ცეკვავდე. განა შენი ცხოვრება მართლა უვარგისია? ყველა მამა როლი აძლევს ნებას თავის ქალს საქმროსთან ერთს ქერქვეშ ცხოვრებისას.

ტრუდა. ვერ ვხედავ ამაში მე დიდს ბედნიერებას. გარდა ამისა მამა ჩემი ამაზედ სულაც არა ფიქრობს.

გურლაფე. მაგითი ხომ არ გინდა სთქვა, რომ მამაშენი შენზედ საზოგადოთა არა ფიქრობს?

ტრუდა. მე მაგის თქმა არ მინდა. მაგას, ექვს გარეშეა, მე უყვარვარ. თუ რასაკვირველია... ტყეში ბევრი ხეები არ იქნებოდნენ...

გურლაფე. ეს რაღას ნიშნავს?

ტრუდა. იმას, რომ ჩემთვის ცოტა დრო-ღარჩება. გარდა ამისა მე მხოლოდ ქალი და დედაკაცი ვარ.

გურლაფე. რასაკვირველია ქალი ხარ, მაგრამ შენ ბედნიერთა პატარა ჯგუფს ეკუთვნის.

ტრუდა. როგორ?

გურლაფე. ბედნიერთა მცირედს ჯგუფს, რომელთაც დანიშნულები ყავთ.

ტრუდა. ძალი კმარა მავაზედ ლაპარაკი.

გურლაფე. შენ, შენს თავს ბედნიერთა უნდა სთვლიდე, რადგანაც ისეთი კარგი საქმრო გყავს, როგორც ფრანც.

ტრუდა. ჰო, რასაკვირველია!

გურლაფე. ხომ მოგწონს ის?

ტრუდა. (დალილილი) მომწონს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იმას სიტყვას არ მივცემდი. ესლა კი, ავანთით სანათი.

გურლაფე. მე მიწოდდა ცოტა ხანი კიდევ ასე ვმსხდარიყავით. (ისმის ქარის ხმა, ტრუდა შეხტება) რა სამაგელი ამინდია, აქ მოდი, აქ უფრო თბილა (ტრუდა სავარძელში საჯდება. ისმის ქარის მძლავრი ქროლა. ორთავის შეეშინდებათ) ჯუპ, შეშინიან.

ტრუდა. (პაუზა. ქარი ქრის) ასეთი ქარბუქი მე არ მახსოვს.

გურლაფე. იყუ ამ ორი წლის წინათ.

ტრუდა. რა საშინელია ამისთანა ამინდში ლა-

რობ-ლატაკთა მდგომარეობა, რომელთაც არც ქერა აქვთ და არც ბინა.

გურლაფე. არც ის იქნება კარგ მდგომარეობაში ვისაც ეს ქარბუქი გზაში მოასწრობს.

ტრუდა. ხვალ, ნამდვილათ, წაგიკითხავთ გაზეთებში ამდონი და ამდენი კაცი იპოვეს გზაში გაყინულით.

გურლაფე. ნამდვილათ. ვისაც კი დღეს გზა აერიო, ის უსათუოდ დაღუბულია.

ტრუდა. ექვს გარეშეა, ყველა ახლო-მახლო გზები თოვლით ამოხვრდილია.

გურლაფე. ჩვენს ახლო-მახლო უსათუოდ.

ტრუდა. ეს უბედურებია. (უცებ) მამას ხომ საშიში არა მოეღოს რა?

გურლაფე. სისულელეა. ორნი არიან და აქ ყველა აღვიღს იცნობენ. გარდა ამისა. იმათ ისაღილეს და ყავა დალიეს... ვინც კი ესლა მარტო გზაში, ცარიელის მუცლით და გზაც არ იცის, იმისი საქმე კი წასულია.

ტრუდა. თურმე ამაზედ უარესი მდგომარეობაც შესაძლო ყოფილა, როგორც კარჩაქტილი ცხოვრება.

გურლაფე. ხედავ; ამასთანავე თუ ხარ კარჩაქტილი ყველაზე ძვირფას ადამიანთან ერთად!

ტრუდა. ძალი, შენ ისევ იმას უბრუნდები?

გურლაფე. ჰო მე მინდა შენ სხვა აზრები ჩავგონო; რისთვის იკლავ თავს? მეც კი ბებრუხანა-ეხარობ, როცა ფრანცს ვხედავ. რამდენი ძალი რამდენი ცეცხლი აქვს იმას. შენ არ შეგიძლი უსაყვედურო შენს ბედს, რომ მისგან ნებვირობ და აღერსი გაკლია.

ტრუდა. მე ვამჯობინებდი რომ ეს ნებვირობ და აღერსი ნაკლები ყოფილიყო.

გურლაფე. კარგია, კარგი. ყური დამიგდე, შენი. სიყვარული...

ტრუდა. იმის აღერსში ხშირად გამოკრთის რაღაც დესპოტიური სისასტრეკე. მე კი ყოველგვარ ძალმომრეობის... მართლაც და რა საქმროა ეს ძალმომრეობა.

გურლაფე. (ქსოვს, აუღელვებლივ) თავის დროზედ გაივებს. იმის თავ-აშეგებულობა მოგვეწონება. იყოჩაღია და ლამაზი. რა კარგი ტანი აქვს, ახოვანი მძლავრი და ღონიერი. მართალი გითხრა, მოუფიქრებელი საქციელია...

ტრუდა. რა?

გურლაფე. ისა რომ დანიშნულები, საქმრო-საკოლე, ერთს ქერა-ქვეშ სცხოვრობთ.

ტრუდა. ამ უღაბნოში ვინ ფიქრობს მავაზე

გერლოფე მე ვე არ მინდოდა მეთქვა. ამ საქციელ-  
საფრთხე მარტო თქვენთვის არსებობს—ჯეელი  
ხელი საშიშია, ცუდქია. თუმცა საბოლოოდ სულ  
ათია. თქვენ დანიშნულები ხართ, ლონდონ მეტი-  
ია, შეიძლება ქორწილიც გადავიხადოთ (დაბალის  
თ, სიცილით) ტრუდა მითხარი...

ტრუდა. მალე გაათავებ?

გერლოფე. ეხლავე. ტრუდა, მითხარი შენ არას  
ოს არ მოგსვლია...

ტრუდა. (დაღონებული) მე ვერ გამოვივა, შენ  
გინდა?

გერლოფე. შენგან ადამიანი ვერას გაიგებს. (პა-  
ა. ისმის ქარის ქროლა. ტრუდა თავს დახრის  
კურს უვლებს).

ტრუდა. მე ეხლა შემომგმა...

გერლოფე. რა შემოგგმა?

ტრუდა. ადამიანის ხმა.

გერლოფე. მოგვჩვენა.

ტრუდა. აი კიდევ (მიღის ფანჯარასთან) შენ  
ფერი გაგიგონა?

გერლოფე. არა.

ტრუდა. ეს მამა ჩემის ხმა არის. ნამდვილათ  
არის (შორიდან ისმის ძახილი).

გერლოფე. ეხლა თითქოს მეც... (ახლო ისმის)  
რუდა“.

ტრუდა. მამა არის. ის მეძახის...

გერლოფე. (მივა ფანჯარასთან) ნეტავ რა მოუბ-  
ნა?

ტრუდა. ღმერთო ჩემო, იმათ ვილაც მოაქეთ.  
რაფათ გააღებს ფანჯარას. ისმის არენსის ხმა,  
მელიც ღიზას ბრძანების კილოთი ელაპარაკება).

გერლოფე. გაყინული მოაქეთ?

ტრუდა. მგონი. (მივარდება კარებს) სანათი  
და ავანთოთ. (შემოდინ არენს და ფრანც, მო-  
სა ცოდავით გაყინებული განს, მათ მოს-  
ს ღიზა).

**გამოსვლა მეოთხე.**

არენს. ჩქარა იქნება სანათი? მოიტანეთ საბანი,  
ბი, არაყი. (ყველა ეხმარება. ტრუდას მიაქვს  
ები და გადაწვენილ განსს ჩაყურებს სახეში)

ტრუდა. რა ყმაწვილია.

არენს. (ფრანცის დახმარებით ხდის ფეხსაცმე-  
ს) დაუზილეთ ფეხები; ღონივრათ. ეს არას უშ-  
ის. (ღიზას) შემოიტა თოვლი! უხსნის ტანსაც-  
ის სერთუკის ღილებს და პერანგს. ღიზას შე-  
ქვს თოვლი და მით უხელავენ მეკრდს).

ტრუდა. (მონაწილეობით) ეს არაფერს აღარ  
ნობს.

არენს. დახილეთ!

ტრუდა. შენ გგონია?

არენს. დახილეთ მეთქი!

ფრანც. მგონი ამაოა ყველაფერი.

გერლოფე. ეტყობა ძალიან არის გაყინული.

ტრუდა. მამა.

არენს. რა იყო.

ტრუდა. ხედავ, ხელები უთრთოლავენ?

არენს. სიანს, ჯერ კიდევ ცოცხალია.

ტრუდა. მადლობა ღმერთს.

განს. (მძიმეთ ინძრევა, დაიკვნესებს).

ტრუდა. მამა, გესმის?

არენს. (იღებს მაგიდიდან ბოთლს და მიაქვს  
განსის ტუჩებთან) ერთი, ერთი ჩაყლაპე..

განს. ა...ა... ახ... (თავს წამოსწევს და ცოტა  
ხნით თვლებს გაახელს).

ტრუდა. თვლები გაახილა!

არენს. ახლა კი საუკოსკენ პირი ქნა. აბა, ერ-  
თიკ ჩაყლაპე. (მიაქვს განსის ტუჩებთან ბოთლი)  
(შენი საღმერძელო იყოს).

განს. (სუსტის ხმით) ა, გმადლობთ! რა კარგია  
აქ! რა... (მძიმეთ დაუშვებს თავს).

არენს. ეხლა ამისათვის მხოლოდ სითბოა საჭი-  
რო, სხვაფერ არა უშავს რა.

ტრუდა. მამა, შენ როგორ გგონია, საშიში  
ხომ აღარაფერია?

არენს. არა მგონია. (მაჯას უსინჯავს) მაჯის  
ცემა ცხადათ ისმის. ეხლა იმას ეცადეთ თბილათ  
იწვეს და დროგამოშვებით თბილი სასმელი ან საქ-  
მელი მიეცით ხოლმე.

ტრუდა. ყველაფერი რიგზედ იქნება.

არენს. (მიხედავს ავადმყოფს და კმაყოფილების  
ნიშნად თავს აქნევს) წავიდეთ, ფრანც, ეხლა საქმე  
ქალებს მივანდოთ. (ფრანცს ეზარება წასვლა) გას-  
წი, გასწი! სამსახური სამსახურად რჩება. საათ-ნა-  
ხევრის შემდეგ დაებრუნდებით. მშვიდობით (გაღიან)

**გამოსვლა მეხუთე.**

ტრუდა. მშვიდობით (შეხედავს განსს, შემდეგ  
გერლოფს) ეხლა ამას ჩაი გაუცხელოთ. ხელი ისევ  
ცივი აქვს და უკანკალებს.

გერლოფე. მართალია, ჩაი მაგისთვის ეხლა კარ-  
გია. (მივა ზუზართან სადაც საჩაიე დგას, ტრუდა  
გადმოიღებს შკაფილამ ჩაის).

ტრუდა. ეხლა საშიში აღარაფერია?

გერლოფე. არაფერი. სიცოცხლე დაუბრუნდა.  
ეხლა მხოლოდ სითბო და დასვენება სჭირდება.

ტრუდა. (ახლო მიღის და ჩაყურებს) მგონი  
მაგრათ ჩაიძინა.

გერლოფი. (მიუახლოვდება) დალილობისაგან. ლამაზი სახე აქვს.

ტრუდა. მართალია. მტკიცე გამომეტყველების სახე აქვს. (დაიხრება და სუნთქვას ყურს მიუგდებს) ეხლა... (განსი გაინძრევა, ტურემს აცმაკუნებს და განცვიფრებით შეხედავს ტრუდას. შემდეგ ხელებს გაიწვდის ტრუდასკენ, თითქოს სურს გაიგოს მოჩვენება ხომ არ არის, ტრუდა უკან დაიხვეს).

განს. რა, რა მოხდა ჩემს თავზე?

ტრუდა. თქვენ ამა ამინდმა მოგასწროთ გზაში და ნამქერმა ქვეშ მოგიკოლათ, ეხლა კი სიკვდილს გადაარჩენილი ხართ. თქვენ თოვლის ქვეშ დაბოვდეს და მოგიყვანეს აქ ტყის მცველის სახლში.

განს. ჰო... ჰო... ტყის მცველის სახლში... თოვლის ქვეშ მიბოვდეს. (გააერქოლებს) როგორ ცივა ტყის მცველის სახლში თოვლში უფრო თბილოდა.

გერლოფი. (მოაქვს ჩაი) აი, ეს დალიოს.

ტრუდა. (განსის წინ უქირავს ჩაი) გვათბობთ. (ჩაის უბერავს და განსის ტურჩებთან მიაქვს).

განს. (ჩაის სვამს) გმადლობთ, გულწრფელად გმადლობთ! (სვამს) თქვენ... ისეთი კეთილი ბრძანებთ. თქვენ ტყის მცველის ქალი იქნებით.

ტრუდა. ჰო.

განს. როგორ მოვხვდი მე აქ?

ტრუდა. მამაჩემმა და მისმა თანამემწყემსებებმა გიბოვნეს თქვენ.

განს. (აქეთ-იქით იტყობება) ეხლა ისინი აქ არ არიან?

ტრუდა. ისინი კიდევ წავიდნენ, მათი სამსახური ასეთია.

განს. (შეხედავს გერლოფს) ესა ეს თქვენი დედა?

ტრუდა. არა, ეგ ძალუა იდა,

განს. (უცებ გამზიარულებული) საღამო მშვიდობისა, ძალუა იდა!

გერლოფი. (შეურაცხყოფილი) საღამო მშვიდობისა, (იღებს ხელს საქმეს, დაჯდება სტოლთან და ქსოვს, თან თოვლს არ აშორებს განსს და ტრუდას).

განს. (უნდა ადგეს) არა ეს არ ივარგებს... მე მინდა...

ტრუდა. არა, თუ ხატრი გაქვთ იწყეთ; უპირველეს ყოვლისა თქვენ უნდა დაისვენოთ და გამოკეთდეთ.

განს. ფეხებში ისე შეღიტინება, რომ მინდა ავდგე და ვიკეკო, მაგრამ არ შემორჩილებიან.

ტრუდა. ეგ არაფერია, მალე გაივლის.

განს. რასაკვირველია გაივლის, უნდა გაიაროს. მე თქვენ ვაწუხებთ.

ტრუდა. სრულებითაც არა.

განს. დიდხანს არ გაგრძელებთ.

ტრუდა. რატომ?

განს. (ნელა იცინის) მეტის მეტი კატმოყვარეობა.

ტრუდა. მე მხედველობაში მყავდა... მე ვფიქრობდი თქვენზედ კი არა, არამედ ჩვენზედ.

განს. ჰო! (უნდა თავი დაუკრას) თქვენ ჯერ ხომ არც კი იცით, როგორ კაცთან გაქვთ საქმე?

ტრუდა. ჩვენ ისე განმარტოვებით ვცხოვრობთ რომ... ჩვენთან არავინ არ დადის.

განს. ამიტომაც თქვენ მცირე მოთხოვნების აღმძიანი ბრძანდებით?

ტრუდა. რასა ბრძანებთ? როგორ შეიძლება?

განს. (განაგრძობს ხუმრობას) აი ამასა ქვიან აღერსით გამათარახება.

ტრუდა. მე მგონი თავი მოგაბეზრეთ.

განს. განა თქვენ ხუმრობა არ გესმით?

ტრუდა. სიანს არა.

განს. მაშ უნდა ისწავლოთ. ხუმრობის ატანა. (კანკალს დააწყებინებს და მძიმეთ დაეშვება ბალიშზედ).

ტრუდა. (მზრუნველობით) კიდევ ცუდათ გახლდით?

განს. არაფერია... გაივლის.

ტრუდა. შეიძლება მოგართოთ რამე არა გშიანთ?

განს. მგონი მშიან.

ტრუდა. მაშ ეხლავე.

განს. არა, თქვენ დარჩით აქა... არ შეიძლება ძალუა იდას ვსთხოვოთ?

გერლოფი. (ბუტბუტით) ეს კი დიდი უსინიდილობაა.

ტრუდა. ძალუა, არ შეიძლება? (განს) რას მიირთმევდით?

განს. რასა ბრძანებთ, სულ ერთია! რაც მოგებოვებათ.

ტრუდა. რბილი რამ არა? (გერლოფს) ძალუა, წიდან ხორცი დარჩა. თუ შეიძლება შენ... თუ მე წავიდე?

გერლოფი. (მეცხედ) თავი დაანება (იღებს თავსახვევს).

განს. (ტრუდას) თქვენ აქა რჩებით?

ტრუდა. თუ თქვენც ვინდათ

განს. ძალიან ჩვენ ერთმანეთს უამბობთ რამეს.

ტრუდა. (გახარებული) ჩვენ ერთმანეთს გავართობთ, (იღებს სკამს და ჯდება განსის ახლოს. გერლოფი მიდის, კარებთან შეჩერდება და დიდხანს ათვალიერებს მათ).

გ. ხანი.

(შემდეგი იქნება),

# ქუჩის გოგოს ნაამბობი

(დღეურიდან).

საღამოს 9 საათი იქნებოდა, როდესაც ქალაქ №-ის გაჩირღანებულ ქუჩიდან საპოლიციო ნაწილში ამოყვავი თავი. მიზეზი იყო საერთო ჩხრეკა. თუმცა, ბოქაულის თანაშემწეს „ბაშფორთი“ დაპატიმრების თანავე უჩვენე. მაგრამ მან ასე მიპასუხა:—მოგეყვანთ პოლიციაში ბოქაული გამოძიების თქვენ ვინაობას. სად სცხოვრობთ. რომელ ქუჩაზე, ვის სახლში, და მერე გაგანთავისუფლებსო.

მეც რა გზა იყო? ბედს უნდა დავმორჩილებოდი, აქ ჩემს გარდა სხვაც ბევრი, მოყვანეს, ამათ შორის რამოდენიმე დედაკაცებიც იყვნენ.

რადგანაც ბოქაულის მობრძანებამდი ჩვენ შესახებ არავითარი გამოძიება არ მოხდებოდა. ამიტომ მისი თანაშემწის ბრძანებით იქ მდგარ გრძელ სკამზე ჩამოვეჯექით. რამოდენი ხნის შემდეგ ოცამდი კიდევ მოიყვანეს ტუსაღები. ესლა კი შევიქენით რომ; დასაჯდომი კი არა ფეხზედ გასაჩერებელი ალაგი არ იყო, ცოტა არ იყოს, მე ესლა ბედნიერად ვგრძნობდი თავს რადგანაც სხვებზედ აღრე მოსული ვიყავი და სკამზედ ვიჯექი.

\*—სხვა არაფერი შეიღობა და აგი ერთი საკმაო ლამაზია. ჩაილაპარაკა ერთმა ცხვირ გრძელა გორლოვოვომ. ჩვენკენ თითი გამოაშვირა და უშინოდ გადისაზარა.

—Ничего... დამოწმა მეორე. და იმანც ქალებისკენ გამოიხედა.

— ის ქალი, რომელზედაც ესენი ლაპარაკობდენ. ჩემ გვერდით იჯდა და თავჩალუნული რაღაც ფიქრებში იყო გართული.

— უპ... საზიზღრებო, იცინეთ, იცინეთ, რამდენიც გენებსოსთ. დასტკბით ჩვენი დამცირებით.

— ჩუმიად ჩაილაპარაკა გამხდარმა ქალმა და ერთი მძიმედ ამოიოხრა. —მეც გული ზიზღით ამევსო. მაგრამ ვისთვის რა უნდა მეუქვა?—ისევ უკმაყოფილოდ პაპიროსს. მოუკიდე და კარებისკენ ვიქტირებოდი რომ. გახუნებულ პალტოს კალთაში ვიდაცამ ხელი წამავლო და მომაქანა. მე გავაცვებით მოვიხედე. რადგანაც აქ ჩემი ნაცნობი არავინ მეგოვლებოდა.

— შეიძლება ყმაწვილო? ერთი პაპიროსი მიბოძო?... ზრდილობიანად მითხრა უცნობმა ქალმა.

— რატომ არა?! ეუთხარი მე ვეზიბიდან პაპიროსი ამოვიღე და მიეწოდე.

— თქვენ რატომ მოგეყვანეს აქ?—ცოტა სიჩუმის შემდეგ შემეკითხა.

— არც მე ვიცი. რატომ...

მან უკმაყოფილოდ თავი გააქნია და სამწერლო გამყოფილებისკენ გაიხედა.

— მე ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა. მინდა და მისი ვინაობა გამეგო. ასეთი ახალ ვაზრდა და მისთან პატიოსანი მოლაპარაკე. ეტყობოდა რომ გარყვნილების მორევში ძალად გადასროლილი უნდა ყოფილიყო. არ ვიციოდი დამეწყო ამ უჩერხულ მდგომარეობიდან თვითონ გამოიყვანა. მან თავი ასწია პაპიროსი გადაავლო და მომმართა:

— თუ შეიძლება, ბატონო, ცოტა რმე, მინდა გთხოვოთ. მაპატიეთ უცნობს აგრე უტიფრად გემქვეით მეგრამ ჩვენი წრის ქალებიდან არაფერი არ არის ვასაკვირი და ნურც თქვენ ვაგვივირდებათ. მე თქვენგან ბევრ არაფერს მოვითხოვ.

— დიდის სიამოვნებით... თუ კი რამე შემიძლია არ დაგზარდებით.

— შეიძლება თქვენ ვინმე ისეთი ნაცნობა გყავსთ, რომელსაც შეგძლება გამანთავისუფლოს ამით ხელიდან. თუ არა და ამაღამ თუ აქ დაგჩრი სიცივისაგან გავიყინებო.

— თქვენ აქ ცხოვრობთ ქალაქში?

— დიახ. აქ ვცხოვრობთ.

— რა თქმა უნდა „ბაშფორთიც“ გექნება და გაგიშვებენ.

— აი!!! საქმეც სწორედ იმაშია.

პასპორტი მაქვს, მაგრამ საუბედუროდ ჩემდა, შეუმოწმებელია. და სახლის წიგნში ჩაწერილი არა ვარ.

— მერე რა უყოლ? აწი ჩაწერებით.

— ჩაწერა აწიც შეიძლება, მხოლოდ საქმე იმაშია თავის ვანთავისუფლება, ცოტა არ იყოს ძნელია. და ამიტომ ცოტა დახმარება მეჭიკვრება. ბოლიშ ვიხდი თქვენთან შეიძლება შეგაწუხებთ ლაპარაკით, მაგრამ იმედია მომიტავებთ.

— რა არის აქ შესაწუხებელი? და ან რა საშიროა, ამდენი ბოლიში?—ყოველი აღამიანი ვალდებულია დახმაროს გაჭიკვრების დროს.

— ეს კი, თუმცა მართალია მარა ხდება კი ასე?

— გამაწუხებთა მან.—განა შენს გაჭიკვრებას შენს მწუხარებას გაინაწილებს ვინმე?.. მერე ისიც ვისას? როგორც არის სუსტი ქალი. ვინ შეხედავს კეთილი თვალი თვალით თუ არ არ ფეხქვეშ გასათელავად? აბა მოთხარით ვინ არის? ისეთი კაცი რომ ქალს სხვა თვალით არ უყურებდეს აბა ვინ არის ისეთი რომელიც შევა გაჭიკვრებული ქალის მდგომარეობაში?

— ეს თუმცა მართალია მარა შეცთობა იქნება ჩემის აზრით ის რომ საზოგადოთ ყველა მამაკაცებზედ ერთნაირი შეხედულება იქონიოთ.

— დაგეთანხმებით იმაში მხოლოდ რომ გამოწაკლის შეხედებით. მამაკაცებში ამ მხრივ უმრავლესობა კი ასეთები არიან. მე მძულს ყოველი. მეზიზღება მთელი ქვეყანა. მეზიზღება ადამიანები და ჩემი თავიც. ჩემში გამჭრალია ყოველი იმედები მომავლისადმი. ჩემთვის არ არსებობს დღეს არაფერი მომზებრდა ყველაფერი. — ბოლო სიტყვები ძლივს ვასაგონად გაათვა და ჩუმად ქეითინი დაიწყო.

დღეების ვეყურე მის ტანჯულ სახეს. გულით მინდოდა რამე წამალი დამედო მის გაჭივრებისათვის მაგრამ შეიძლება კი? მისი იმ უფსკრულიდან ამოყვანა რომელშიაც დღეს იმყოფებოდა...

— ვინა ხარ? შევეითებ მე.

— მე რუსი ვარ. ნატალია ვვარად მაქაროვა (ყაზანის გუბერნიიდან). ქალაქ ყაზანიდან.

— რა პროფესიისა ხარათ?

— ჰმ... დამკინთ განა? ვერა მცნობთ რა პროფესიისაც უნდა ვეკუთვნოდე? — მე პროსტიტუტკა ვარ. ქუჩის გოგო.

— მშობლები არა ვყავთ?

— მყავს დედაცა და მამაც.

— მაშ რამ ჩავადლოთ ამ მდგომარეობაში?

— ეჰ, ნუღარ მომაგონებთ ჩემი წარსული დროის მოვლენებზე მხად ვარ ჩემი სხეული ჩემივე კბილებით ვლჯო იმ წამის მზოგონება სიდიანაც დაიწყო ჩემი გათახსირების დღეები თავხარს მცემს არც მინდა მოვიგონო და მასთან ჩემი გულის ვარამი სხვას გაეანდო. რადგანც ბევრისთვის მითხოვია დახმარება გამოიკვანია ჩემი მდგომარეობა. ეს იმ დროს როდესაც კიდევ შეიძლება ჩემი ამოყვანა ამ უბედურებიდან.

ვისაც კი გავაცნობდი ჩემ მდგომარეობას, ვითომ და გულშემატკივარი, შევლას მპირდებოდა მარა მიდიოდა დღეები, თვეები და ჩემი მდგომარეობა უფრო და უფრო მწვეფე ხასიათს ღებულობდა. ეხლა გვიანაა. ჩემი მზე, უკვე ჩაესვენა, ყოვლად შეუძლებელია აწი ჩემი დახსნა. გვიან არის, გვიან! მორჩა და გათავდა... ბოქალუი შამოვიდა რომელსაც ერთი ხუთიოდ ტუსადი და ორი გარდავიო შემოყვა. ამ ხანში ჩემი მეგობარი კაციც მოვიდა რომელსაც მე თითონ ვავაგებიე ჩემი დაქვრა.

არ ვასულა ნახევარი საათი დამიძახეს და გამომიცხადეს თავისუფალი ხარო. მე კი გავთავი-

სუფლდი, მაგრამ ჩემი ნაცნობი ქალის გათავისუფლებამზე ბოქალუმა უფარი სთქვა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ და გათავისუფლენ საბრალო დედაკაცი, თორემ ადვილი შესაძლებელია აქ ამ სიცივეში გაიყინოს და მოკვდეს. — სთხოვა ბოქალუს ჩემმა მეგობარმა რომელსაც მე დავავალე ეშვამდგომლა ბოქალთან და ის ქალი გაენთავისუფლებინა.

— ხა-ხახახა — გესლიანად ვაღიხარხარა ბოქალუმა... ჰმ... მოკვდება. მაგისთანები რამდენი კვდება, მაგრამ მინც ბევრია. არ, შეიძლება ტყვილად თავს ნუ იწუხებთ. ვერ გავათავისუფლებ. ამ სამ ოთხ დღეს აქ ვავაჩერებ მერე ეტაპი რომ მოსრულდება, მაგასაც თან ვავაყოლებ. მანამდის შეუძლია ლოგინი დაიხაროს და სიცივისაგან თავი დაიფაროს. საბრალო ქალი ტირილით დაუვარდა მუხლებზე და ხვეწნა დაუწყო მაგრამ არ, იქნა და არა.

— არა უშეის რადგან ასეა საქმე მე წავალ, ვინმე გავლენიან პირს მოვიყვანდა მინც ვავაშვებ — მითხრა იმედინად მეგობარმა და ჩქარი ნაბიჯით გასწია.

— ты что тарчигь?! თავისუფალი ხარ წავალი. — დამიყვირა ბოქალუს თანაშემწემ. — თუ გნებავს რეშოტკა — ში მოვათავსო ამაღამ. — რალა უნდა მექნა გამოგვდი, და მეორე მხარეს პოლიციის პირდაპირ დავედექი.

ქუჩებში ხმაურობა მისწყდა მხოლოდ დრო გამოშვებით კანტი კუნტად მოისიოდა „პოსტზე“ მღვამი დარაჯების ფეხის ხმა.

— რით შეიძლება ამდენი პატივის ცემის გადხანდა? აღარ ვიცი. თუ შეურაცყოფად არ მიიღებთ და არ ითაკლებთ ჩემთან მოსვლას. გვიანახულეთ. პეტრეს ქუჩაზე № 11. ბინა № 17 მითხრა გახარებულმა მაქაროვამ როდესაც ის ჩემი მეგობარის კაცის წყალობით გაანთავასუფლეს და ქუჩაში გამოვიდა. ხელი გამომიწოდა დამემშვიდობა და მარცხენა მხარეს ვიწრო ქუჩაში შეუხვია.

ი. შანდუ.

(შემდეგი იქნება)

# იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

**შემდეგი გამოცემანი:**

1) „**შშაკის მათრახი**“ 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში —2 მანეთი; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება—50 კ.

2) „**მათრახ-სალამური**“ 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი —იმევე ფასებში, როგორც პირველი.

3) „**ეშშაკის მათრახი**“ 1907 წლისა (13 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მ.; გაგზავნით 1—20.

4) „**ალმანახები**“ 1909 წელში გამოცემული: „აკაკი“, „ეშშაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეშშაკის მათრახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნომერი ერთად შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

გისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან — ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлиси, Типография Шрома, Мухранская ул. № 12, Теофили Болквалдзе.

ელექტრონის სტამბა

# „მ რ მ ა“

(მუსხანის ქუჩა, № 12).

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდო საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, საღარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე. საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად. ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

ძირველ იანვრიდან გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# ს ა ლ ა მ უ რ ი

**შუკნალი ფლიურათ ღირს 5 მანეთი, თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.**

დაბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები, პირველ გვერდზე სტრიქონი ეღირება—30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე კი—15 კაპ.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს ბანდეროლით ნუ გამოგზავნიან ხელთნაწერს, რადგან ამაში ერთი-ორათ იხდის ფასს. არ გამოისყიდის რედაქცია აგრეთვე უმარკო წერილებს.